საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3163-02
22/10/2024

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2019 წლის 18 აპრილის N1000-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2024 წლის 22 ოქტომბრის N18657-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2019 წლის 18 აპრილის N1000-02 ბრძანებაში, ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, კერძოდ, შევიდეს ცვლილება დანართის მე-2 მუხლში:

ა) 2.1.3 ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს 2.1.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2.1.4. აკადემიურ ან ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელიც ამავდროულად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, არ უნდა ჰქონდეს შემოტანილი განაცხადი იმავე სემესტრში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მობილობისთვის გამოცხადებულ კონკურსში“.

ბ) შევიდეს ცვლილება 2.5.3 ქვეპუნქტში, ,,გ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს ,,დ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,დ) თანაბარი ბონუს ქულების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ აკადემიური პერსონალს, რომლის მიერ ბოლოს განხორციელებული მობილობის თარიღის შემდეგ, გასულია მეტი დრო.“

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს გააცნოს ეს ბრძანება უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს.
4. დაევალოს კანცელარიას ეს წესი ატვირთოს შიდასაუნივერსიტეტო პროგრამა კოდექსში;
5. ამ ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი